განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ფილოლოგია/Philology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ფილოლოგიის დოქტორი/Doctor of Philology**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მამია ფაღავა, პროფესორი, ელ.ფოსტა: mamia.fagava@bsu.edu.ge მარინე არუშიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: marina.aroshidze@bsu.edu.ge მარინე გიორგაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: marinagiorgadze@bsu.edu.ge რამაზ ხალვაში, პროფესორი, ელ.ფოსტა: ramaz.khalvashi@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ გასაუბრება/გამოცდა სპეციალობაში; ✓ გამოცდა ინგლისურ ენაში - B2 დონე; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის მომზადება, რომელიც უპასუხებს თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს, შეძლებს ახალი ცოდნის შექმნას, იდეების კრიტიკულ ანალიზს, ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას სამეცნიერო პუბლიკაციებისა და სწავლების გზით; ✓ შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას; ✓ გამოიმუშავებს ფილოლოგიური კვლევის სრულფასოვანი პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარს; ✓ შექმნის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შეძენილი ცოდნის კრიტიკული გადააზრებით, მულტიდისციპლინურ/ინტერდისციპლინურ კონტექსტში, პრობლემების საკუთარი გააზრებით; ✓ ჩაერთვება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, ახალი ცოდნის გენერირების პროცესში; ✓ შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მომზადებასა და სწავლებას, ცოდნის ტრანსფერს.
სწავლის შედეგები	✓ სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე მოხდება დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა და მისი როგორც დარგის სპეციალისტის, კომპეტენციისა და ხარისხის ამაღლება და წარმატებით ინტეგრირება სამეცნიერო საზოგადოებაში; ✓ დოქტორანტი შექმნის მეცნიერული ღირებულების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ნაშრომს, რომლითაც სიახლეს შეიტანს ფილოლოგიის, ლიტერატურისა და ლინგვისტიკის კვლევისა და განვითარების საქმეში; ✓ სწავლის შედეგები მიიღწევა პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსების შესწავლით,

	სემინარებში, კოლოკვიუმებში, ვორკშოპებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, მაღალრეიტინგულ, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის, სხვა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების გზით.